# ÝÅËÉËÄÁÀ # 5628-IIÓ - ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÓÀÌÏØÀËÀØÏ ÓÀÐÒÏÝÄÓÏ ÊÏÃÄØÓÛÉ ÃÀÌÀÔÄÁÄÁÉÓ ÛÄÔÀÍÉÓ ÛÄÓÀáÄÁ

*მიღებულია - 18.12.2007 წ* *ძალაშია - 01.05.2008 წ*
*29.01.2008 წ - მდგომარეობით*

**მიმღები:** პარლამენტი

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, N47-48, 31.12.1997, გვ. 21) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-11 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის "თ" ქვეპუნქტი:
"თ) შვილად აყვანის საქმეებს.".

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 19' მუხლი:
"მუხლი 19'. შვილად აყვანის საქმის განსჯადობა
ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მშვილებლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით.".

3. 310-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის "თ" ქვეპუნქტი:
"თ) ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ.".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,
2007 წლის 18 დეკემბერი.
N5628-IIს

ტექსტი
ისტორია
ცვლილებები არ მომხდარა